№ 204
კვირა, 25 სექტემბერი 1894

1877—1894

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 204
კვირა, 25 სექტემბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 28 ᲡᲔᲥᲢᲔᲛ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“
გამოდის 1894 წელს
ᲘᲛᲐᲕᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲘᲜᲐᲓ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ,
„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიის, სასახლის ქუჩა, ბანკის ჯარვასლა.
სპეციალური ადრესი:
ᲤᲘᲤᲚᲘᲡᲬ. Редакція „ИВЕРІА“.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ

უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

ტფილისი, 25 სექტემბერი

ჩვენმა მიწათ-მოქმედებამ რომ მიმართულება შეიცვალოს და იგი ჭირნახული მოიყვანოს, რომლის შეძლებასაც იძლევა აქაური ჰავა და მიწა, და რომელსაც დიდი ფასი აქვს, დიდი მუშტარი ჭყავს და ადვილად გადასატან-გადმოსატანია („ივერია“ № 200), ამას, რასაკვირველია, ბარგა ხანი და დრო უნდა.

იმ სისტემას მიწათ-მოქმედებისას, რომელიც დღეს ჩვენში არსებობს და რომელსაც საგნათა აქვს ყველაფერი თავისი იქონიოს, დიდი ხანია მიჩვეულია აქაური მოჭირნახულე და დიდის ხნის ჩვეულებას ეგრე ადვილად ზურგს ვერ შეუქცევს მიწათ-მომქმედი არამც თუ ჩვენში, არამედ სხვაგანაც. აქაურს მკვიდრს რომ უთხრათ,— დაანებე თავი შურის მოყვანას, რადგანაც სხვიდამ უფრო იეფად მოიტან, და მოიყვანე ის, რაც სხვაგან ან სულ არ მოდის, ან ძალიან ნაკლებია, რასაც სხვაგან, სამეზობლო ბაზრებში კარგი ფასი აქვს, და შურზე მეტი გამოსარჩენია, იქნება სასაცილოდაც აგიგდოთ: შურზე ხელი როგორ ავიღოვო.

ის-კი არ ვიცით, რომ რაც შურისათვის გარჯა და შრომა უნდა, რამოდენა მიწესაც შურზე ვაცდენთ, ყოველივე ის რომ, საცა შეიძლება, სხვა უფრო ფასიან ჭირნახულს მოვახ

და, თესლეულობის საწყობი, რომელსაც ჯერ ხანად ცალკე კაცი ვერ გაბედავს იქონიოს ზარალისა და უმუშტრობის შიშითა. მთავრობისათვის-კი, თუნდ მართლა ზარალიც იყოს, არაფერად საფი ქრებელია, ჯერ ითქმა-რომ მაგდენი ზარალი არა იქნება-რა და მერე იმიტომ-რომ აქ ნაზარალევი მკვიდრთა ქონების გაძლიერებით სხვა სახით დაუბრუნდება მთავრობასვე თავისს დროზე.

აი, ჩვენის ფიქრით, უმთავრესნი საბუთებანი, რომელსაც ჩვენებურებმა ყურადღება უნდა მიაქცევინონ ბ-ნს მინისტრს, რომელიც ჩვენში მობრძანდა, როგორც ამბობენ, აქაურის ქვეყნის საბუთების შესაყურებლად და წამლის დასადებად.

დეპეშა

23 სექტემბერი

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება: ვარშავის სამხედრო ოლქში დაარსებულ იქმნას 2 და 38 ქვეითა ჯარისა და 7 კავალერიის დივიზიებისაგან მეცხრამეტე კორპუსი. ქვემოდასახელებულთ კორპუსებში დანშნულ იქმნას შემდეგი დივიზიები: მე 4 კორპუსში 30 და 40 დივიზიები მე 15 კორპუსში—6 და 8 ქვეითა ჯარის დივიზიები და მე 6 კავალერის დივიზია, კავკასიის კორპუსში—კავკასიის საგრენადერო, 20 და 39 ქვეითა ჯარისა, 1 და 2 კავკასიის ყაზახთა დივიზიები; 13 და 15 კავალერიისა და 1 დონის ყაზახთა დივიზიები უნდა ექვემდებარეობდეს განსაკუთრებულ დებულებით ვარშავის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსს; 165 კოველის ქვეითა ჯარის პოლკი ჩარიცხულ იქმნას 38 დივიზიაში; დონის ყაზახთა მე 11 პოლკი ჩარიცხულ იქმნას მე 7 კავალერის დივიზიაში, დონის ყაზახთა მე 7 პოლკი, მაგრამ, რომელიც

უნდა ექვემდებარეობდეს მე 7 კორპუსის შტაბის უფროსს.

ლონდონი. ხმა დადის, რომ კაბინეტება გადაწყვეტა: გაგზავნილ იქმნას ჩინეთში ჯარები, გაძლიერდეს ჩინეთის ზღვებში ბრიტანიის ესკადრა და დაიცვან იქაური ბრიტანიელები ბრიტანიისა და ინდოელთა ჯარის შემწეობით.

24 სექტემბერი

პეტერბურგი. გამოცხადებულია სასულიერო სასწავლებლებში მოსამსახურეთა ჯამაგირისა და პენსიის მომატების შესახებ და იმის გამო, რომ კურსკო-ხარკოვო აზოვის გზის საზოგადოება გაუქმდაო.

ახალი ამბავი

*** გუშინ მინისტრმა ა. ს. ერმოლოვმა მიიღო გენერლობა, დეპუტაციები და მთხოვნელნი. მინისტრმა მიიღო აგრეთვე ტ. ფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, რომელმაც თხოვნა წარუდგინა შესახებ სამეურნეო სასწავლებლების დაარსებისა. მინისტრმა აღუთქვა, რომ ყოველ ღონისძიებას ვიზამრებ ავასრულო თავად-აზნაურთა თხოვნა, რადგანაც მე ამ აზრისა ვარ, რომ ამ გვარი სასწავლებლები კავკასიაში ფრიად სასურველიაო.

ამის შემდეგ მინისტრმა მიიღო ქალაქის დეპუტაცია. ქალაქის მოურავმა პ. ა. იზმაილოვმა მიართვა მოხსენება ტფილისში პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დაარსების შესახებ და პირადაც მოახსენა ამ საგანზე რამდენიმე სიტყვა. ბ-ნმა მინისტრმა უპასუხა: „მე დიდად მოხარული ვარ, რომ ქალაქის გამგეობა ამ სასარგებლო უმაღლესის სასწავლებლისთვის სწირავს ათიათას თუმანს, მაგრამ ჩემის აზრით ამ ფულით შეუძლებელია ინსტიტუტის დაარსება ტფილისში. ამ გვარ სასწავლებლისათვის საჭიროა

*** ფოთი: ეხლა-კი ნამდვილად

ბულია. მანიფესტი დიდად შინაარსიანად არის დაწერილი და ქვეშ ხელი უწერია ორმოცდა-ერთს დიდად პატივცემულსა და ღირსეულს კაცს. იგი ჰკიცხავს და აფოლებს რეაქციონერთა განზრახვას. მანიფესტში უმთავრესად ის საბუთია მოყვანილი, რომელსაც არსად ევროპაში ძალა და მნიშვნელობა არ ექმნებოდა. ‹სწავლაში ასეთ ცვლილებათა შემოღება ეწინააღმდეგება ნებასა და სურვილს მშობლებისასა›, ამბობს მანიფესტი და ასეთის სიტყვებით თავდება: „მაშინ, როდესაც საბჭო უსარგებლო საღვთის მეტყველო ბაასსა და კამათს ალევდა დროს, ყურადღებასაც არ აქცევდა იგი სასწავლებლისა და აღზრდა-განათლების საზოგადო სარგებლობას. ყმაწვილები უსასწავლელოდ იყვნენ დარჩენილნი, სასწავლებლები—უმასწავლელოდ, ხოლო თვით სწავლა-კი მოკლებული იყო ჰიგიენურ მოწყობილებას, სასწავლებლები ცუდს შენობებში იმყოფებოდა, კლასებში ნაგავი ეყარაო“ და სხ.

ერთი საზოგადო შეცდომა უნდა აღვნიშნოთ. როდესაც ინგლისის ორატორთა ლაპარაკს ისმენენ, ინგლისის ზნეობისა და ეკონომიის მოძღვართა ნაწერებს კითხულობენ, ევროპაში ბევრსა ჭკონია, ვითომ აქ სიღარიბე ჰმეფობდეს და საზოგადებრივი უთანხმოება უფრო ძლიერი იყოს, ვიდრე იტალიასა, რუმინიასა და სხვა ქალაქებში. რასაკვირველია, არც ინგლისია სამოთხე და ღარიბნი აქაც ცოტანი არ არიან, მაგრამ აზრი სიღარიბის შესახებ, საწყაო სიღარიბისა ყოველს ქვეყანასა და წოდებას სხვა-და-სხვა აქვს. კეთილშობილთა შორის ღარიბი ოჯახი ღარიბი არ არის, თუ მოსამსახურეთა და მშრომელ ოჯახს დაადარეთ, ხოლო თუ გლეხთა და მუშათა ოჯახის კვალობაზედ იანგარიშეთ, მაშინ ხომ შეძლებულადაც ჩითვლება. საზოგადოდ აღელი სიღარიბის საზომად ყველგან სხვა-და-სხვაა. ევროპაში, შვეიცარიის გარდა, ყოველი გლეხკაცი იხდის სახელმწიფო ხარჯს, იტალიაში-კი ხარჯი აქვს გაწერილი მშიერ მცხოვრებლებსაც, რომელიც სიმინდითა და ღომით იკვებება. აქ ხარჯისაგან განთავისუფლებულია ყველა, ვისაც 160 გირვანქა სტერლინგზედ (1.500 მან.) ნაკლები აქვს წლიური შემოსავალი. საზოგადოდ აქ ამ აზრისანი არიან, ვისაც იმდენი შეძლება არა აქვს, რომ ყოველ დღე ორჯელ ჩაი დალიოს და სადილი და ვახშამი სჭამოს ის pouper-ია, ლატაკიაო. ვიმეორებ აქაც ბევრნი არიან ღარიბნი, აქაც იბრძვის ადამიანი თავისის მდგომარეობის გასაუჯობესებლად... აქ ეს ბრძოლა უფრო ძლიერად, სასტიკადაც სწარმოებს, ვიდრე ევროპაში სადმე, მაგრამ დიდი შეცდომა-კი იქნება, რომ ინგლისურს სიტყვას სიღარიბეს, ჰიგიენის უქონლობას, სასწავლებელთა სიმცირეს და სხვას, ის აზრი და მნიშვნელობა მისცეთ, რა აზრითა და მნიშვნელობითაც ჰხმარობენ ამ სიტყვას არა თუ მარტო ოსმალნი, რუმინნი და სხვანი, არამედ გერმანელნი და ფრანგნიც კი.

მაგრამ დავნებოთ თავი ამ საგანს, ამის შესახებ დაწერილებით იმ წერილებში მოვილაპარაკებ, რომელსაც ინგლისის მუშათა შრომისა და კეთილგრების შესახებ დავწერ. ეხლა-კი დავუბრუნდები ი. კოუნის სიტყვას, რომელიც ნიუკეტლში წარმოსთქვა, როცა შესანშნავის პედაგოგის რუტელფოლდის ძეგლი აკურთხეს. ეს სიტყვა ფრიად საყურადღებოა თავისის შინაარსით და მოსწავლე ახალგაზდობის ზნეობრივ-პრაქტიკულ დარიგებით. ი. კოუნმა, რომელიც მილიონების პატრონი-მწარმოებელია და საკმაოდ წარჩინებული სახელმწი

ლი მოღვაწეც, რადგან თითქმის ათ წლობით პარლამენტის წევრი იყო,—უთხრა ყმაწვილ-კაცობას,—ერიდეთ იმ მიმართულებას, რომელიც იმის არის მოწადინებული, რომ სახელმწიფოს უფრო მეტი უფლება ჰქონდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩარევისა; განსაკუთრებით-კი წინაადმდეგობა გაუწიეთ კერძო ადამიანის უმრავლესობის მიერ [illegible]ახსნრებასა და დაჩაგვრასაო.

„საზოგადოდ ძალიან საფრთხილო დეფა-ზრანი ის მოძღვრება, რომ ადამიანი უმრავლესობას უნდა დაექვემდებაროსო, ამბობს კოუნი. იგი ათახსირებს და აქარწყლებს ცალკე ადამიანის მხნეობას, ასუსტებს მოქალაქობას, ძირს უთხრის, ჰხრწნის ერის საზოგადებრივს ზნეობასა. (ეჟეი ეჟეჟეო, ეჟეო! ეჟეშ! ეჟეშ!). ამ მოძღვრებით არ მიიღწევა ინგლისმა თავისს აწინდელ მდგომარეობამდე (ეჟეშ!). მტარვალობა ერთგვარ საზიზღარია, თუნდა მეფე გვირგვინი ედგას თავზედ და თუნდა ფრიგიის წითელი ქუდი (ხანგრძლივი ეჟეშს ძახდა ეჟეისმის). ჩვენის დროის ერთ უსამწუხაროს მოვლენათაგანი ის არის, რომ მოქალაქობრივი მხნეობა დაბუნებულია და ალალჩრებული-ადამიანი ვერა ჰბედავს ლაპარაკსა და

მეორეც, რადგან ერთი მეორეს მაგიერობას ვერ გაუწევსო. ამიტომ ვეცდები და ყოველს ღონეს ვიხმარ, რომ ჭიათურაში შემოკლებული საქალაქო დებულება იყოს შემოღებული ‹ᲡᲐᲑᲭᲝᲡ დაარსების ნება მოგეცესო.

*** სანგაჩალა: 23 სექტემბერს დიდის წვიმების გამო მოვარდა ნიაღვარი და მთელი სადგურები წალეკა.

*** სოფ. წადელი. სწორეთ თავი შეგვაძულა გაგრძელებულმა უანინდობამ. სიცივე ქარი, ტალახი და წვიმები გულს აწუალებს. ბევრს წაღვლელს ადიენინა წრეკვნილს სიმინდის მოსავლიზედ ხელი ამ საზარელმა ტაროსმა; ჩალა, ხომ სათქმელი აღარ არის, ისე დაალპო და გაოხრა წვიმამ, რომ არა მგონია კიდეც გამოდგეს საქონლის საკვებად. კაკლებისა და ხილისთვის დამპერტყის დაქარავება აღარ დაგვეპარდა, ისე საამრად დაგო ტალახში მათი ნაყოფი ქარმა. ხალხი უიმედობით დაჩაგრულია, აღარ გამოგვიამიდებსო. რთველი აქეთ ჯერ გვიან არის; სხვანი-კი შარშინდელივით ველარ ასხია. უკიდურესს მდგომარეობაშია წაღვლის საეკლესიო სამრევლო სასწავლებელი, რომელიც მღვდელმა სალარიძემ საკუთარის ხარჯით გაჰმართა. სასწავლებლისათვის დაქირავებულს სახლში ქირა ტყუილად იხარჯება ბავშვები აღარავის მოჰყავს, რის მამაც მ. სალარიძე იძულებულია გააუქმოს სასწავლებელი.

*** ჩხარი (შორაპნის მაზრა): მთელ შორაპნის მაზრის ერთი მდიდარი კუთხეთაგანი პურ-ღვინით, სიმინდით, საქონლისა და სხვა შინაური ნაწარმოებით დ. ჩხარია. ჩხარში ასზედ მეტი დუქანია, სადაც „პარასკევობით“ დიდ-ძალი ხალხი იკრიბება სავაჭროთ. აქვე არის აფთიაქი, ბოქაული და ეხლა სცდილობენ, მომრიგებელი მოსამართლის განყოფილებაც დაარსონ. სამრევლო სკოლაც კარგა ხანია არის ჩხარში, თუმ-

ბოლოდ ეს ბრძოლა ეროვნულ ხასიათს ატარებს. ინგლისელი ეროვნული ბრძოლა ეროვნულ ბრძოლა ეროვნულ ბრძოლა ეროვნულ

ცა მასწავლებლებს სხვა-და-სხვა მიზეზით ძალიან ხშირად იცვლის.

*** ს. ხიდისთავი (გურია). დიდი სიხარული და ხალხის თანაგრძნობა გამოიწვია, ამ ხუთის წლის წინად დედათა და ვაჟთა, სამრევლო სასწავლებლის დაარსების ამბავმა. დაიარსეს! მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ეს ერთი წელიწადი რაც დედათა სასწავლებლში, სწავლა შეწყდა უმასწავლებლობისა გამო. (აქაური მასწავლებელი ქალი გათხოვდა). დღემდის მაინც ი

უცხოეთი

ინგლისი. ლონდონიდგან დეპეშით იუწყებიან:

ბრიტანიის ფლოტის სამმართველომ გადასწყვიტა მოუმატოს სამხედრო გემები ჩინეთის ზღვების საფეხურებში. კრეისერს „გიბრალტარი“, რომელიც აქამდე სათადარიგო გემების სიაში ირიცხებოდა, ბრძანება მიუვიდა შეიარაღდეს და მომავალ თვეში წავიდეს ჩინეთის ზღვებისკენ.

თ. ბისმარკი და რუსული ენა

ყველამ უწყის, რომ თავადმა ბისმარკმა კარგად იცის (წინადაც იცოდა და) რუსული ენა და ხშირად ჩაურთავს ხოლმე რუსულ სიტყვებს, როცა იგი რუსებთანა ბაასობს. „St.—Petersb. Zeitung.“-ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ბ-ნის ალექსეევისა, თავ. ბისმარკის რუსული ენის მასწავლებლად ნაყოფიანი, რომელშიაც ნათქვამია, რომ თავადი ძალიან გულმოდგინედ და ბეჯითად ეკიდებოდა რუსულის ენის შესწავლას და ამით განირჩეოდა სხვა პეტერბურგში მყოფ უცხო-ქვეყნელთაგანთა.

ბ-ნი ალექსეევი სტუდენტი იყო თურმე და გერმანიის ერთს ოჯახში ასწავლიდა. ამ ოჯახშივე თავადი ბისმარკიც დადიოდა. თავადს ალექსეევი ძალიან მოეწონა და თავისს მასწავლებლად მოიწვია. როდესაც ბისმარკმა გაიგო, რომ ალექსეევი იურისტიაო, უთხრა თურმე:

„მე და თქვენ ერთის ხელობისანი ყოფილვართ, მეც იურისპრუდენცია შევისწავლეო. მე მსურს გავიცნო თქვენი საკვირველი ენა. ვიცი, რომ უცხოელისათვის ძნელი სასწავლებელია, ნამეტნავად სიტყვების გამოთქმა, მაგრამ გადავსწყვიტე როგორმე გავნთავისუფლდე თარჯიმნებისაგან, რომელთაც საშინლად მომაბეზრეს თავი. გადასწყვიტეს, რომ ალექსეევი კვირაში ორჯელ, 10 საათზედ ივლის. თავადი ბისმარკი მეტად ბეჯითი და გულმოდგინე მოსწავლე გამოდგა. სწავლება ან-ბანიდგან დაიწყეს. ასო „ы“-ს გამოთქმამ საქმე გაუჭირა. როდესაც მასწავლებელმა შემდეგი წინადადება წაიკითხა: „Отъ топота копытъ пыль по полю летитъ“, ბისმარკმა გაიცინა და უთხრა: ნუ თუ არის ისეთი უცხოელი, რომ მაგის გამოთქმა შეიძლოსო, მაგრამ მალე შეეჩვია და თავისუფლად დაიწყო სიტყვების გამოთქმა. გაკვეთილების დროს ტურგენევის ახალს მოთხრობას „Дворянское гнѣздо“-ს კითხულობდნენ და სიტყვებს ხსნიდნენ. კითხულობდნენ აგრეთვე გერცენის „Колоколъ“-ს და თ. დოლგორუკის «Будущность»-ს, რომელიც ყველა ელჩს ჰქონდა გამოწერილი. ბისმარკს შესანიშნავი მეხსიერება ჰქონდა. პირველს ოთხს თვეს ხან გერმანულად და ხან რუსულად ლაპარაკობდნენ. შემდეგ-კი რუსულადაც დაიწყეს ლაპარაკი.

საყურადღებოა ერთი ამბავი, რომელიც ბისმარკს უამბნია ბ-ნ ალექსეევისათვის.

ერთს სადილზედ, საზამთრო სასახლეში, ბისმარკმა თავის რუსულის ცოდნით იმპერატორის ყურადღება მიიქცია. იმპერატორი თავ. გორჩაკოვს ელჩპარაკებოდა. ამ დროს შეამჩნია, რომ ბისმარკი გულმოდგინედ ადევნებდა თვალ-ყურს იმათ ლაპარაკ'ა.—გესმით რუსული ლაპარაკი?-ჰკითხა იმპერატორმა.—ცოტა მესმის, თუ ნელ-ნელა ლაპარაკობენ, თქვენო უდიდებულესობავ. თამამად უპასუხა თავადმა.

— დიდი ხანია რაცა სწავლობთ?

— მარტო ოთხი თვეა, თქვენო უდიდებულესობავ.

ხელმწიფეს ბისმარკის ნიჭი გაუკვირდა და თვითონ ბისმარკი კი სწუხდა, რომ რუსულის ცოდნა გამოიჩინა.

უცხოეთის წვრილი ამბავი

ჩინელები და იმათი ზნე-ჩვეულება

ჩინელები, თავისს განსაკუთრებული ზნე-ჩვეულებით და ხასიათით რაღაც სიოტარს და სასაცილო არსებით წარმოადგენენ და სწორედ, რომ სასაცილოდაც ასეთანა-სიტუაციენ ჩინელებს ევროპიელებთან მოიმყოფენ. ეს ამ ბოლოს ერთ-ერთ ამბავ-ზედ გარკვეულად ჩანს. ეს ამბავი ასეთია:

ჩინელი სიცილ-კისკასით მოგითხრობს თავისს ნათესავებს ევროპიელებს, და ეს ეს ბატრამლი კი სტერის, როდესაც იგი საკუთარ მეჯუჯურ სკქმრის სახლ შიო. ჩინელი დაწერილებით გამოგვითხავს ანა თუ მარტო ამბავს შესახებ. მართლობისა, არამედ ამასაც-კი, რა შემოსავალი გაქვს და ითას გვარ წერილებსაც თავს მოგვაბეზრებს, რადგანაც ასეთი სიტყვიერი ანაზღაურა და ზრდილობა შესაფერი ჭეშმარიტ ჩინელისა. და თითონ თუ ეკითხეთ, შენი სახელობა, როგორ ღა ბრძანდებოო, შეუფერებელ-ფაფალად ჩასთელის თავისს თავს; თქვენ ქუდს ისდგამ, როდესაც ჩინელის სახლში შედახარ, ისეი სტადიოს თქვენ დასხვისათანავე ქუდი რაც შეიძლება მაღე დასიფარის და, ხელის ჩამორბომეს მაგერ, ორს